საქართველოს მთავრობის

დადგენილება №520

2021 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2015, 130000000.10.003.018773) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის 32-ე დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი №32

ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და გურიის რეგიონალური სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სამმართველოს უფროსი	2650
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2450
განყოფილების უფროსი	1780
განყოფილების უფროსის მოადგილე	1585
უფროსი ინსპექტორი	1460
მთავარი სპეციალისტი	1400
წამყვანი სპეციალისტი, ინსპექტორი	1335
სპეციალისტი	1000